ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

,,ქართული ოცნების“ სხდომის

ოქმი N 12

9.06.2026
სხდომის ჩატარების ადგილი:
ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი ,,მედეა“-ს
ადმინისტრაციული შენობა,
ლესელიძის ქუჩა N2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ სხდომა ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი ,,მედეა“-ს ადმინისტრაციულ შენობაში. სხდომას ხელმძღვანელობდა ფრაქციის თავმჯდომარე, ბატონი დიმიტრი მხეიძე.

ესწრებოდნენ ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ წევრები:

გიორგი ჭიღვარია, მარეხი ნიჟარაძე, ამირან კოპალეიშვილი, ლაშა გვენეტაძე, გიორგი იობაშვილი, ბესიკ ჩეჩელაშვილი, კობა ფხაკაძე, მანანა ჩიხლაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ალეკო თამაზაშვილი, ბიქტორ გვეტაძე, სალომე სარალიძე, სანდრო ნერგაძე, მაგდა კოსტავა, ლანა ჩიტიძე.

სულ 16 წევრი

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“თავმჯდომარემ ბატონმა დიმიტრი მხეიძემ და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი ,,მედეა“-ს ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ბატონი ბორის თვალოძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი ,,მედეა“-ს დირექტორის მოადგილე

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ , ბატონმა დიმიტრი მხეიძემ დღის წესრიგთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი ,,მედეა“-ს ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

დღის წესრიგის პირველი საკითხი- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი ,,მედეა“-ს ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი ,,მედეა“-ს დირექტორის მოადგილემ, ბატონმა ბორის თვალოძემ.

ბორის თვალოძე : ,,მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი ,,მედეა“-ს“ ანგარიშს 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ქუთაისის ბოტანიკური ბაღი სამეცნიერო-კვლევითი სასწავლო აღმზრდელობითი და კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციას წარმოადგენს. ეს არის ზოგადად ბოტანიკური ბაღების კლასიკური განმარტება და ამ განმარტებიდან ჩანს ის ძირითადი ფუნქცია და მიზნები, რომელიც ნებისმიერი ბოტანიკური ბაღის მუშაობის ძირითად ამოცანებს განსაზღვრავს. აქვე აღსანიშნავია, რომ ბოტანიკური ბაღის ძირითად ღირებულებას და ღირსებას მასში არსებული მცენარეთა კოლექციების მრავალფეროვნება წარმოადგენს.აქედან გამომდინარე მცენარეთა კოლექციების დაცვა, მოვლა და მათი შევსება წარმოადგენს სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის ძირითად მიზანს.2025 წელს ისევე როგორც წინა წლებში გრძელდებოდა მუშაობა ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ახალი სახეობებით გამდიდრებისათვის და ამ მუშაობის შედეგად ბოტანიკური ბაღის მცენარეთა კოლექციები რამდენიმე ახალი სახეობით შეივსო. ამავე დროს გრძელდებოდა სამცნიერო თემების დამუშავება, რომელთა ძირითად მიზანს, როგორც ახლადინტროდუცირებული, ასევე წინა წლებში შემოტანილი სახეობების ჩვენს პირობებში აკლიმატიზაცია-ადაპტაციის საკითხების შესწავლა წარმოადგენს.სამეცნიერო თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია იშვიათი და გადაშენებად სახეობებზე განსაკუთრებით კი ენდემურ სახეობებზე მუშაობა.ქუთაისის ბოტანიკური ბაღი საკმაოდ მდიდარია, როგორც რელიქტებით, ასევე ენდემებით, რაც ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ოქროს ფონდს წარმოადგენს. ეს იმ ფაქტითაც არის განპირობებული, რომ გეოგრაფიულად ქუთაისის ბოტანიკური ბაღი კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და მესამეული გამყინვარება, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ამ რეფუგიუმს არ განუცდია. აქ მცენარეთა მრავალი ათეული სახეობა არსებობს, რომლებიც დედამიწაზე 100-150 მილიონი წლის წინ არსებობდნენ და დღემდე უცვლელად

მოაღწიეს. ასეთ სახეობებს რელიქტები ეწოდებათ და ისინი მეტად მდიდარ მასალას წარმოადგენენ მცენარეთ ისტორიის შესწავლისათვის.ასეთია ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ზოგადი სურათი. ზემოთ აღნიშნული საკითხების დამუშავების შედეგების გათვალისწინებით სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში 2025 წელს გამოქვეყნდა რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაცია.შემდეგი ძირითადი ფუნქცია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაა. 2025 წლის განმავლობაში ბოტანიკური ბაღის სივრცე საკმაოდ დატვირთული იყო, როგორც სკოლამდელი აღზრდის, ასევე საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა ექსკურსიებით. აღსანიშნავია, რომ ექსკურსიები ტარდება არა მარტო ქუთაისის, არამედ იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების სკოლების მოსწავლეებისთვის. ბოტანიკური ბაღის გიდები მათ აცნობენ მცენარეთა სახეობებს, რომელთა სამშობლო აღმოსავლეთ აზია, ჩრდილოეთ ამერიკა და ხმელთაშუაზღვეთია. აქვე აცნობენ მათ მცენარეთა ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობას და სხვა.ქუთაისის ბოტანიკური ბაღი მჭიდროდაა დაკავშირებული აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელთანაც 2025 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით აქ პრაქტიკას გადიან ბიოლოგიის, აგროეკოლოგიის, აგროტექნოლოგიის, მცენარეთა დაცვის, პროფესიული სწავლების და სხვა სპეციალობების სტუდენტები.კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციის თვალსაზრისით 2025 წელს ბოტანიკურ ბაღში ჩატარებული ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანი იყო ჯაზ-ფესტივალი, რომელიც 2 დღე გრძელდებოდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბოტანიკურ ბაღში „ქართული ხმების“ მიერ ჩატარებული კონცერტი. ქუთაისში მოქმედი რამდენიმე უნივერსიტეტის მიერ მოეწყო კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემა. მერიის მიერ ჩატარდა ღონისძიება „ლტოლვილთა ინტეგრაცია თანამედროვე მსოფლიოში-სახლიდან შორს“. ამ ღონისძიებაზე უკრაინელ ლტოლვილებს მერიის მიერ გადაეცათ საჩუქრები. ამ აქტივობებისთვის წარმატებით იქნა გამოყენებული ბოტანიკურ ბაღში არსებული ღია ამფითეატრი.მეტად შინაარსიანი და დატვირთულია ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე სამეურნეო საქმიანობა. 2025 წელს ბოტანიკურ ბაღში ექსპლოატაციაში შევიდა დახურული გრუნტის ახალი სივრცე, რომლის ფართობი 500 m^2-ს შეადგენს. ეს ორანჟერეა თანდათან ივსება მცენარეთა კოლექციებით და საინტერესოა ის, რომ მისი ფართი საშუალებას გვაძლევს სამომავლო პერსპექტივაში ტროპიკული ბუნების ეგზოტების კოლექციის შექმნისათვის. ახალი ორანჟერეა, მოქმედ ორანჟერეასთან ერთად განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის ბოტანიკურ ბაღს ვიზიტორებისთვის. 2025 წლის გაზაფხულზე ბოტანიკური ბაღის სანერგე მეურნეობამ ქუთაისის ყველა მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცა სხვადასხვა სახეობის მერქნიან ხე-ბუჩქოვან მცენარეთა 1000-ზე მეტი ნერგი. ქუთაისის რამდენიმე საჯარო სკოლას ასევე საჩუქრად გადაეცა 200-მდე ერთეული სხვადასხვა სახეობის ყვავილოვანი მცენარეები ქოთნებით.2025 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა და თითქმის მთლიანად განახლდა ბოტანიკური ბაღის პარტერში მდებარე როზარიუმი (ვარდნარი), სადაც 1000 ერთეული ვარდის ახალგაზრდა ნერგი დაირგო.საანგარიშო პერიოდის განმავლობაში,

როგორც ბოტანიკურ ბაღში, ასევე ცენტრალურ პარკში (ე.წ."ბულვარი") აქტიურად მიმდინარეობდა მცენარეთა მოვლის ღონისძიებები: გასხვლა-ფორმირება, სარეველებისგან გასუფთავება, გაზონების რამდენჯერმე გათიბვა და სხვა სამუშაოები, რაც უზრუნველყოფდა ვიზიტორებისთვის ესთეტიკურად სასიამოვნო გარემოს შექმნას.2025 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები კარგად აისახა ბოტანიკური ბაღის მნახველთა რაოდენობაზე. თუ 2024 წელს უცხოელ ტურისტთა რიცხვი 13 795 იყო, 2025 წელს მათმა რაოდენობამ 14 771 შეადგინა. ზრდა 7,1% იყო. შესაბამისად ამ მონაცემებმა ასახვა ჰპოვა ბოტანიკური ბაღის ადგილობრივი შემოსავლების რაოდენობაზე. 2025 წელს ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ადგილობრივმა შემოსავლებმა 123 912 ლარი შეადგინა, რაც ერთგვარი რეკორდი აღმოჩნდა ქუთაისის ბოტანიკური ბაღის არსებობის ისტორიაში.მიმდინარე ანგარიში ითვალისწინებს 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების წარდგენას. ყველაზე მთავარი რაც ქუთაისის ბოტანიკური ბაღის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს ეხება ეს არის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურის სრულყოფას. ძირითადი ამ სამუშაოებისა არის ბოტანიკური ბაღის შემდგომი ტერიტორიული გაფართოება სარეზერვო ფართის ხარჯზე, ბოტანიკური ბაღის შემოღობვის უზრუნველყოფა, ახალი გზებისა და სავალი ბილიკების მოწყობა და სხვა.პროექტით გათვალისწინებული ამ სამუშაოების შესრულება, რატომრაც დროში გაიწელა და საჭიროა მისი დროულად შესრულება, რომ თავი დავაღწიოთ დაპირებების წრეზე ტრიალს. 2026 წლის ივნისის თვეში დაგეგმილია ბოტანიკურ ბაღში ჩატარდეს ღვინის ფესტივალი სახელწოდებით ,,წითელი და თეთრი". ფესტივალში მონაწილეობას იმერეთის რეგიონიოს 30 -ათზე მეტი მეღვინე მიიღებს. 2026 წლის სექტემბრის თვეში ბოტანიკურ ბაღში კვლავ იგეგმება ჯაზ ფესტივალის კონცერტის ჩატარება. ამჯერად ეს ღონისძიება საერთაშორისო ფესტივალის სტატუსით იქნება წარმოდგენილი. 2026 წლის განმავლობაში იგეგმება ბოტანიკური ბაღის შიდა სტრუქტურის სრულყოფა, რაც სხვადასხვა ხასიათის მრავალფეროვანი სამუშაოების ჩატარებას მოიცავს. მიმდინარე წელსვე იგეგმება სკოლამდელი აღზრდის ბავშვებისათვის გასართობი მოედნის მოწყობა.2026 წელს დაგეგმილია მოეწყოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის სახელობის სკვერი, რომელსაც მისი ბიუსტი დაამშვენებს.2026 წელს დაგეგმილია რამდენიმე სამეცნიერო - კვლევითი ექსპედიციის მოწყობა, რომელიც ადგილობრივი ფლორის იშვიათი და გადაშენებადი სახეობების შესწავლას ითვალისწინებს.

საკითხთან დაკავშირებით დებატები არ გამართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების"თავმჯდომარემ ბატონმა დიმიტრი მხეიძემ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა ფრაქციის წევრებმა.

ღია კენჭისყრით , ერთხმად დაადგინეს:

მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღი ,,მედეა"-ს ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების"
თავმჯდომარე დიმიტრი მხეიძე